* პროექტი*

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №

2026 წლის _____ მარტი; ქ. ბათუმი;

„ქ. ბათუმში, ბაღის ქ. №10დ; ქ. №10ზ; ქ. №10ვ და ბაღის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს.კ.№05.34.25.745, №05.34.25.768, №22.21.01.050, №05.34.25.619) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 9 აგვისტოს №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქ. ბათუმში, ბაღის ქ. №10დ; ქ. №10ზ; ქ. №10ვ და ბაღის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს.კ.№05.34.25.745, №05.34.25.768, №22.21.01.050, №05.34.25.619) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 9 აგვისტოს №47 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, 12/08/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016663) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების დეტალური გეგმა ჩამოყალიბდეს ამ დადგენილებაზე თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, ბაღის ქ. №10დ; ქ. №10ზ; ქ. №10ვ და ბაღის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს.კ.№05.34.25.745, №05.34.25.768, №22.21.01.050, №05.34.25.619) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 9 აგვისტოს №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

დადგენილების მიღების მიზანია „ქ. ბათუმში, ბაღის ქ. №10დ; ქ. №10ზ; ქ. №10ვ და ბაღის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს.კ.№05.34.25.745, №05.34.25.768, №22.21.01.050, №05.34.25.619) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 9 აგვისტოს №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.

განმცხადებელი - შპს „ქეიპ 23“ (ს/№445705390), ქალაქ ბათუმში, ბაღის ქ. №12ა; ბაღის ქ. №12ზ, ბაღის ქ. №10ვ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (05.34.25.745, 05.34.25.053). გეგმარებითი ერთეული: (05.34.25.745, 05.34.25.053, 05.34.25.768, 22.21.01.050, 05.34.25.619) მდებარე მიწის ნაკვეთებზე დამტკიცებულია განაშენიანების დეტალური გეგმა; განმცხადებელმა მომართა მასში ცვლილებების შეტანაზე; საპროექტო მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილია ქალაქმშენებლობის პარამეტრების, მათ შორის განაშენიანების სიმაღლის ცვლილება/გაზრდა, კერძოდ, მიწის ნაკვეთზე 05.34.25.053 – 24 მეტრამდე, ხოლო 05.34.25.745 – რჩება უცვლელი. იცვლება გეგმარებითი ერთეულის კონტური.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

„ქალაქ ბათუმში, ბაღის ქ. №10დ; ქ. №10ზ; ქ. №10ვ და ბაღის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს.კ.№05.34.25.745, №05.34.25.768, №22.21.01.050, №05.34.25.619) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 9 აგვისტოს №47 დადგენილებაში ცვლილებების შეტანა.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი **არჩილ გირკელიძე**